დონალდ რეიფილდი
ლონდონის უნივერსიტეტის დედოფალ მერის კოლეჯი

ბერია – სატრაპი*

თბილისში ბერიამ პირველი დავალება გასცა და კავკასიის ბოლშევიკური მოძრაობის ახალი ისტორიის დაწერა დაუკვეთა. თავად ბერიას თავიდან ბოლომდე წიგნების წაკითხვაც არ უნდოდა, არამც თუ დაწერა. ამიტომ შეარჩია უნივერსიტეტის რექტორი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე და განათლების სახალხო კომისარი ედუარდ ბედია. მათ დაევალათ მასალების შეგროვება და ფალსიფიცირება, რათა სტალინი წარმოეჩინათ კავკასიური ბოლშევიზმის ლენინად. მას შემდეგ, რაც ხელნაწერი სტალინის მიერ რედაქტირებული დაუბრუნდა, ბერიამ ავტორობა მიიწერა და ეს წიგნი ამიერკავკასიის ყველა უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო საკითხავი გახდა. ბერიამ აღარ გაიმეორა საბედისწერო შეცდომა აბელ ენუქიძისა, რომელმაც ამიერკავკასიის იატაკქვეშა ტიპოგრაფიების ისტორია, *არალეგალური ბოლშევიკური სტამბები*, ისე გამოსცა, რომ სტალინი თითქმის არ იყო მოხსენიებული. თანაავტორები მალე იქცნენ ფანტომურ ავტორებად – ფანტომებად ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მშობლიურ მხარეში დიდი წმენდის ჩატარებისას ბერიამ სტალინსაც და ეჟოვსაც აჯობა იმით, რომ ზედმიწევნით შეისწავლა ადგილობრივი სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტა. ძველი პარტიელები, ვინც იაგოდას ან ეჟოვს ჯერ არ მოეშორებინათ, თავად ბერიამ დააპატიმრა 1936 და 1937 წლებში. ბევრი მათგანი სტალინს ოჯახის მეგობრად თვლიდა და მას წერილებს სწერდა – პასუხი არ ჩანდა. როცა 1932 წლის შემოდგომაზე სტალინი უკანასკნელად ჩამოვიდა

---

* მკითხველს ვთავაზობთ თავს „ბერია – სატრაპი“ დონალდ რეიფილდის წიგნიდან *სტალინი და მისი ჯალათები. ავტორიტარული პორტრეტი ტირანისა და მისი მსახურებისა:* Donald Rayfield. *Stalin and His Hangman. An Authoritative Portrait of a Tyrant and Those Who Served Him.* New York: Viking, 2004; რუსული გამოცემა: Дональд Рейфилд. *Сталин и его подручные.* Москва: Новое литературное обозрение, 2008.

თბილიში დედის სანახავად, მალაქია ტოროშელიძე, სტალინი და ბერია ხელიხელგადახვეულები მღეროდნენ.[1] 1936 წლის 16 დეკემბერს სუსანა ტოროშელიძე სტალინს ეკედრებოდა: „დედა, მამა და უფროსი ძმა დააპატიმრეს... მე 17 წლის ვარ... ძმა გარიცხეს... გამიგეთ, ძია სოსო, ჩემი ძმა ლევანი სულ აღელვებულია [*ხაზგასმულია სტალინის მიერ. დ. რ.*]. ძია სოსო, მამა ძალიან გვიყვარს... „შვილები პასუხს არ აგებენ მშობლების შეცდომებზე."[2] ტოროშელიძე და მისი თანაავტორი ბედია დახვრიტეს.

სანამ ბერია ამიერკავკასიას მართავდა – 1936 წელს ეს „სუპერრესპუბლიკა" ოფიციალურად დაშალეს – ბერია ისევე დაუნდობელი იყოს სომხეთის მიმართ, როგორც საქართველოს და მისი უმცირესობების, მეგრელების, აჭარლების, ოსებისა და აფხაზების მიმართ. ჯაფარ ბაგიროვმა, თავის მხრივ, აზერბაიჯანი ჯოჯოხეთად აქცია. 1936 წელს ბერიამ პირადად დახვრიტა ხანჯიანი, სომხეთის პარტიის თავმჯდომარე;[3] ხუთი თვის შემდეგ მან მოწამლა ნესტორ ლაკობა და ამით წელში გატეხა აფხაზეთი. სანამ მოსკოვში სტალინი და ეჟოვი პოლიტბიუროს და შინსახკომს რუსებით ავსებდნენ, ბერიამ საქართველოს სათავეში ქართველები მოაქცია და უმცირესობებს დაუნდობლად წმენდდა.

ძველ ქართველს ბოლშევიკებს ინტელიგენციასთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირები ჰქონდათ, ვიდრე მოსკოველ ბოლშევიკებს. მას შემდეგ, რაც ძველ ბოლშევიკებს გაუსწორდა, ბერია პირადად, უმოწყალოდ მიადგა ქართველ მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და მსახიობებს (სტალინისგან განსხვავებით, კომპოზიტორებს ბერია არ ინდობდა). 1936-დან 1938 წლამდე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა მეოთხედი განადგურებული იყო; გადარჩენილებს აღარც წერა შეეძლოთ და აღარც ხმის ამოღება. მწერლების დამორჩილება ძალიან ადვილი იყო, იმდენად დაქსაქსულები იყვნენ. ბერიას მოსვლამდე პოეტები პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე გახლდნენ სხვათა ნაწარმოებების შემფასებლები. მწერალთა კავშირის საქაღალდეები დაუსრულებელი კინკლაობის ამბებს ინახავს: სიმთვრალეში წამოსროლილი ფრაზები თუ კავშირის „ფორდით" სარგებლობის უფლებაზე დავა მტრობაში გადადიოდა. ბერიას წმენდამ კი ეს ყოველივე საბე-

1 Минувшее. М., 1992. Вып. 7. С. 472.

2 РГАСПИ. Ф. 558. Оп. 11. Д. 722. Л. 63. წერილი ქართულად არის დაწერილი და რუსულად თარგმნილია სტალინის სამდივნოში.

3 ხანჯიანმა უიღბლოდ იხუმრა, რომ თბილისი სინამდვილეში სომხური ქალაქი იყო. ბერიამ მისი გვამი გასისხლიანებულ ხალიჩაში გაახვია და საკუთარი მანქანით გადაიტანა. გამოაცხადეს, რომ ხანჯიანმა თავი მოიკლა.

დისწერო შედეგებში გადაზარდა. ცოტანი თუ ხედავდნენ, რა საფრთხეს წარმოადგენდა ბერია.

ქართველ ინტელიგენციასთან თავის კავშირებს ბერია ლიტერატურულ საღამოებზე, გამოფენებსა თუ კონცერტებზე როდი განამტკიცებდა – ის ინტელექტუალებთან სტუმრად დადიოდა და მათ უთანხმოებებში იყო ჩართული. უყვარდა თეატრში, რეპეტიციებზე მოულოდნელად მისვლა და შეხვედრებზე მწერლების მოწვევა. 1937 წლის ზაფხულში ათზე მეტი გამოჩენილი მწერალი დააპატიმრა და დანარჩენები შეხვედრაზე დაიბარა. „ზოგიერთ თქვენგანს, – გამოუცხადა – ხალხის მტრებთან ფარული კავშირები აქვს. აქ გვარებს გამოვტოვებ." შემდეგ კი ბერიამ ტიციან ტაბიძეს მოუხმო და უთხრა: „გამოტოვებულ გვარებს შორის, ამხანაგო ტაბიძევ, თქვენიც იყო."

ძველი ბოლშევიკები, როგორიც, მაგალითად, ბესო ლომინაძე იყო, პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან, „ცისფერი ყანწების" დამაარსებლებთან ერთად სწავლობდნენ. ამ დაჯგუფებას სურდა ფრანგ სიმბოლისტთა ცისფერი ფერის შეთვისება ქართული ყანწების ჰედონიზმთან, შემდეგ კი ორივე ამ ელემენტის ბოლშევიზმთან მორიგებაც. თავდაპირველად ბერია ასეთ პოეტებს ახალისებდა, პაოლო იაშვილი ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის წევრად წარადგინა, გალაკტიონ ტაბიძე – საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა, თვით არასანდო ტიციან ტაბიძეც თბილისის საბჭოში დასვა. როცა მათ დაინახეს, რა ძვირად დაუჯდებოდათ ეს, უკვე გვიან იყო.

1929-1931 წლებში ორახელაშვილის რეჟიმი მემარცხენეობისკენ იხრებოდა, ქართველ კლასიკოსებს კრძალავდა – რუსთაველს როგორც ფეოდალს და ჭავჭავაძეს როგორც ბურჟუას. ბერიამ კი გამოაცხადა, რომ ხალხი იზეიმებდა ორივე მწერლის იუბილეს. ამით ერთდოულად განზე გასწია ტროცკისტული ფუნდამენტალიზმიც და რუსული შოვინიზმიც.

მიუხედავად უვიცობისა, ბერიამ ნამდვილი თეატრალური ტალანტი გამოავლინა, მის მიერვე რეპრესირებული რეჟისორებისგან სწავლობდა. პარტიის გარეთ წმენდის პირველი მსხვერპლი რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი სანდრო ახმეტელი იყო. ახმეტელი მოსკოვში გაიქცა, სადაც ეჟოვმა ბერიას თხოვნით დააკავა და თბილისში დააბრუნა. ბერიამ იგი ბრიტანეთის ჯაშუშად გამოაცხადა, დააპატიმრა, აწამა, სანამ არ დამუნჯდა და დამბლა არ დაეცა, შემდეგ კი დახვრიტა 1937 წლის 28 ივნისს. ბერიას უკანასკნელი ჟესტი იყო ახმეტელის ნივთების აუქციონზე გამოტანა რუსთაველის თეატრში.

ბერიას შემდეგი სამიზნე ცისფერყანწელები იყვნენ. მათ ლიდერს, გრიგოლ რობაქიძეს, ისეთი წარმატება ჰქონდა მოსკოვში, რომ სერ-

გო ორჯონიკიძე ენდო და ნება დართო მეუღლესთან და შვილობილთან ერთად, დაფნის გვირგვინების მისაღებად, უცხოეთში გამგზავრებულიყო. მაგრამ რობაქიძე გერმანიში დარჩა და ანტისაბჭოთა რომანების წერას მიჰყო ხელი, სადაც მოქმედება საქართველოში მიმდინარეობს. ერთი მათგანი, *ჩაკლული სული*, მოიცავს „სტალინის ჰოროსკოპს", გამანადგურებელ ფსიქოლოგიურ ნარკვევს:„საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა. ძალაუფლების პატრონი, მაგრამ არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა წარწერით „მომაკვდინებელია". [...] სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის - და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს – ცივი და ბრმა ბედისწერა."[4]

რობაქიძის არდაბრუნება საკმარისი მიზეზი იყო მწერლის ყველა მეგობართან ანგარიშის გასასწორებლად.

1936 წელს ქართველი მწერლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ანდრე ჟიდის მასპინძლობაში, როცა ის ფრანგ კომუნისტთა ჯგუფთან ერთად თბილისს, წყალტუბოს და სოხუმს ეწვია. მწერლებს, რომლებიც უხვი სუფრით და არანაკლებ უხვი ქება-დიდებით დახვდნენ ჟიდს, ფაშიზმის აგენტობაში დასდეს ბრალი, როცა ჟიდმა თავისი თავაზიანი, მაგრამ გამანადგურებელი ანტისაბჭოთა კრიტიკა, *დაბრუნება სსრკ-დან* გამოაქვეყნა. საქართველოს საუკეთესო პროზაიკოსმა, მიხეილ ჯავახიშვილმა საკუთარი თავი სასიკვდილოდ გაწირა ერთი ფრაზით: „ანდრე ჟიდს კარგი იდეებიც აქვს". ამ სიტყვების უკან წაღება გვიანი იყო. პაოლო იაშვილმა აღიარა, რომ სტუმრადმყოფი სახელოვანი ადამიანების მასპინძლობა და პირმოთნეობა მისი უკურნებელი სენი იყო და დაწერა ლექსი *ანდრე ჟიდს – მოღალატეს*:

„ვერაგ, პირშავი – ტროცკის ფინია,
თავის ბატონს რომ ადევნებია."

მაგრამ ამაოდ. რაც არ უნდა ექნათ, ქართველი პოეტები თავს ვეღარ დაიხსნიდნენ იმ ჯოჯოხეთისგან, რაც მათ ბერიამ 1937 წლის მაისში მოუწყო.

ლიტერატურული საქართველო ბერიას რუპორი იყო. მთელი გამოშვება დაეთმო მის მოხსენებას, თუ რა წარმატებით გარდაქმნეს ქართველმა მწერლებმა, სტალინის მოთხოვნების თანახმად, თავიან-

4 რობაქიძე გერმანულად გამოსცემდა თავის რომანებს, რომლებიც ნაცისტურ გერმანიაში ფართოდ ცნობილი იყო. შემდეგ რობაქიძემ საკუთარი თავის სრული კომპრომეტაცია მოახდინა ორი ესსეთი: „ადოლფ ჰიტლერი – უცხოელი მწერლის თვალით" და „მუსოლინი: ხილვა კუნძულ კაპრიზე".

თი ლექსიც და ყოფაქცევაც. საკუთარ თავზე მუშაობის ნიშანი იყო ახალ შეჯიბრებებსა თუ კომპილაციებში მონაწილეობა. გიორგი ლეონიძე პირველი იყო რამდენიმე ქართველ მწერალს შორის, ვინც სტალინის ბავშვობა აღწერა. მან შეძლო დაეწერა პოემა, რომელშიც თამაშის ყველა წესი დაცული იყო. მწერლებს სტალინზე არც სიმართლე უნდა ეთქვათ და არც სიცრუე. ბერია ტენდერის პრინციპით მოქმედებდა – იქნებოდა ეს თბილისის ქუჩების მოასფალტება თუ სტალინის საქებარი ლექსების დაწერა. შეჯიბრებაში თითქმის ყველა მწერალი მონაწილეობდა და მხოლოდ მათ ერგებოდათ წარმატება, ვისი ნაწარმოებიც არც ძალიან ნოვატორული იყო და არც ძალიან ბანალური.

1934 წელს ყველა ქართველს, ვისაც ლექსის წერა შეეძლო, თავისი წვლილი შეჰქონდა სტალინისადმი მიძღვნილ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში. 1935 წელს გამოცხადდა კონკურსი ბელადის მხატვრულ ბიოგრაფიაზე. 1939 წლისთვის, ვინც ცოცხალი გადარჩა, ყველას ჰქონდა დაწერილი რომანი ან ლექსი ამ სულისკვეთებით.

ბერია ქართველ მწერლებს ხშირად შეახსენებდა, რომ რუსთაველს გამოსცემს მაშინ, როცა ჰიტლერი ჰაინეს წვავს. არწმუნებდა, რომ ის მწერლობის ერთადერთი მფარველია. 1937 წლისთვის ყველა ნაწარმოები ან ბერიას მიეწერებოდა, ამ მას ეძღვნებოდა. ახალგაზრდა მლიქვნელი გრიგოლ აბაშიძე თავის ლექსში ბერიას არწმუნებდა, რომ მის ნამოქმედარს ხედავდა ქვანახშირის მაღაროშიც და გადახნულ ყანაშიც, რომ საქართველოში მისი წინამძღოლობით ახდა სტალინის ოცნება.

ქარმა 1937 წლის 15 მაისს დაჰბერა. ბერია საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობაზე სანგარიშო მოხსენებით გამოვიდა, ჩეკისტის ფორმაში გამოწყობილმა ერთიმეორის მიყოლებით ჩაიკითხა სიები, რამდენი ნაწარმოები გამოიცა და რამდენი აიკრძალა – ისე, თითქოს საქმე დარგულ თუ მოთხრილ ხეებს ეხებოდა ან ამუშავებულ თუ გაუქმებულ მაღაროებს. ბერია აჯამებდა მიღწევებსა და მარცხს პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში, კრიტიკაში, დაჯგუფებების მიხედვით. ყველაზე მეტი შხამი ბერიამ კრიტიკოსებს დაანთხია, რომლებსაც მწერლები მცდარი გზით მიჰყავდათ. ამ გამოსვლის შემდეგ პირველი დააპატიმრეს კრიტიკოსი ბენიტო ბუაჩიძე, რომელიც ამაოდ ცდილობდა ყურადღების გადატანას მისი ფსევდონიმიდან – იმდროინდელი იყო, როცა რუსი პოეტები ბენიტო მუსოლინის ეთაყვანებოდნენ. აქამდე ბუაჩიძე არაპროლეტარი მწერლების ტერორიზებას ახ-

დენდა თავისი უკიდურესად მემარცხენე კრიტერიუმებით. ირონიული კი ის იყო, რომ ბერია მასვე დაესესხა მწერლებისადმი ბრალდებებს.

ამ პირველ დაპატიმრებას ქართველი მწერლები ტაშს უკრავდნენ. მაგრამ ამას მოჰყვა ახალი ტალღა. ბერიამ უფრო რბილ კრიტიკოსს, დავით დემეტრაძეს ანდო ქართველ მწერალთა კავშირის სხდომების მთელი სერიის ჩატარება 1937 წლის მაისიდან ოქტომბრამდე. სხდომებზე მწერლებს საკუთარი თავი და კოლეგები უნდა გაეკიცხათ. მხოლოდ ორი პოეტი არ დადიოდა ამ სხდომებზე: გალაკტიონ ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი – მათ ლექსებს თავად სტალინი კითხულობდა სიამოვნებით, ამიტომაც ბერიამ ისინი ამ საშინელი გამოცდისაგან იხსნა.[5] ბერიამ ისინი ისე გაათავისუფლა, როგორც სტალინმა – პასტერნაკი; და ისევე აკონტროლებდა, როგორც სტალინი თავის პროტეჟეებს. ყველა სხვა მწერალი ვალდებული იყო დასწრებოდა სხდომებს, რომლებიც ხშირად საღამოს შვიდი საათიდან დილის ოთხის ნახევრამდე გრძელდებოდა.

სხდომაზე თავდაპირველად, ერთგვარი რიტუალივით, ბერიას გამოსვლები უნდა განედიდებინათ, მერე კი ეღიარებინათ თავიანთი კავშირები მათთან, ვინც წინა სხდომისას დააპატიმრეს. ბედკრული მსხვერპლი მიჰყავდათ შინსახკომის აგენტებს, რომლებიც მას ფოიეში ელოდნენ.

ცისფერყანწელები ან საკუთარ დანაშაულს აღაირებდნენ, ან თავს უდანაშაულოდ აცხადებდნენ და სხვებს – დამნაშავედ.[6] ნიკოლო მიწიშვილი, რომელმაც 1920 წელს მანდელშტამი დააინტერესა ქართული პოეზიით და ამით მისი და ტიციან ტაბიძის პოეზია რუს მკითხველამდე მიიტანა, პირდაპირ მწერალთა სასახლეში დააპატიმრეს. მიწიშვილის ზეობის ხანა 1934 წელს იყო: მისი პანეგირიკული ლექსი სტალინისადმი მიძღვნილი ბერიასეული ანთოლოგიის პირველ გვერდზე დაიბეჭდა და შემდეგ პასტერნაკმა თარგმნა. მისი დაცემა კი ერთ წვეულებას მოჰყვა, როცა სიმთვრალეში გულახდილად თქვა, თუ რას

5 გალაკტიონი, ბოდლერის პოეტიკის მიუხედვად, persona grata-დ გამოცხადდა 1935 წელსვე, თუმცა მისი ცოლი, ოლია ოკუჯავა, ჩრდილოეთში გადაასახლეს და მოკლეს 1944 წელს. გალაკტიონი განზე იდგა სხვა პოეტებისაგან და თავს ალკოჰოლიკად აჩვენებდა. უბის წიგნაკში თამამად წერდა, რომ მეტისმეტად დაიღალა იმისათვის, რომ მწერალთა სასახლეში იაროს, სადაც ბერიას მგლები ღრენენ. გრიშაშვილი ამ დროისთვის უფრო ბიბლიოფილი გახდა, ვიდრე პოეტი, მაგრამ ამის მიუხედავად, 1937 წელს ჩუმად წერდა ლექსებს, სადაც ლენინის ხსენებაზეც კი ძაღლები ყმუიან.

6 დაწვრილებით ამ სხდომების შესახებ იხილე სტატიაში: Rayfield D. The Death of Paolo Iashvili // Slavonic and East European Review. 1990. Vol. 68. P. 631–664.

ფიქრობდა საბჭოთა ლიდერებზე. ცისფერყანწელთაგან პირველი ის დახვრიტეს.

რუს პოეტებს ყველაზე მეტად დასცა თავზარი მეგობარი პოეტის, პაოლო იაშვილის სიკვდილმა – ის პასტერნაკთან მეგობრობდა, პუშკინს თარგმნიდა. 1921 წლის თებერვალში იაშვილი თეთრ ცხენზე ამხედრებული დახვდა კომუნისტ ოკუპანტებს თბილისის მისადგომებთან. იაშვილის დაცემა დააჩქარა მისმა ახლო ნაცნობობამ მოსკოვისა და პარიზის წითელ მწერლებთან, წამყვან მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ ბაქტერიოლოგი გოგი ელიავა და ინჟინერი ვალოდია ჯიქია, და დისკრედიტირებულ პარტიულ ლიდერებთან. რაც უფრო მეტ ასეთ პიროვნებას აპატიმრებდნენ, მით უფრო რთული ხდებოდა ბერიას კლანჭებიდან თავის დახსნა. მიტინგებზე ყველაზე ხმამაღლა იაშვილი ითხოვდა კამენევის და ზინოვიევის დაპატიმრებას, მაგრამ იცოდა, რომ თავადაც განწირული იყო. სხდომაზე, სადაც დაკითხვა მოუწყვეს მწერალთა კავშირის წევრმა ამხანაგებმა, წამოიძახა: „როგორ უნდა მოიქცეს საბჭოთა პოეტი, როცა რომელიმე დუქანში ღვინოს სვამს და ვიღაც მთვრალი უცნობი უცებ დგება, არაგულწრფელი სიტყვებით გაქებს, ცამდე აჰყავს შენი ლიტერატურული მიღწევები, შენც უნდა ადგე და ყველას წინაშე მადლობის სიტყვა უთხრა კაცს, რომელიც ხშირად ეჭვს იწვევს?“[7]

22 ივლისს, სანამ კოლეგები პოეტის კავშირიდან გარიცხვაზე მსჯელობდნენ, პაოლო იაშვილმა იქ გადამალული სანადირო თოფი აიღო და თავი მოიკლა. მწერალთა კავშირის პლენუმმა შემდეგ დადგენილება მიიღო, რომ ამიერიდან, თუ არა „უზომო ზიზღით“, პაოლო იაშვილის სახელის ხსენების უფლება არავის ექნებოდა და მისი „მოღალატური“ საქმიანობა ყველას უნდა გაეკიცხა. ტიციან ტაბიძე მდუმარედ გავიდა დარბაზიდან და მას ბრალად დასდეს დეკადენტობა და თანამოაზრეობა უცხოეთში დარჩენილ რობაქიძესთან. ტიციანი ბედს შეურიგდა, საჯარო ასპარეზს ჩამოშორდა და თავისი ლირიკული გენია დაუბრუნდა:

„მაგარი, როგორც სარგის ჯაყელი
და ნაზი, როგორც ევქსინის პონტი,
ტრიალებს ჩემში რაღაც სათქმელი
და გაღადრული მიშრება ყრონტი.“

7 ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება. ფ. 8. ოპ. 1. ერთ. 2. ცალკეული ფურცლები ამოღებულია ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წელს.

ტაბიძე ნელა, წამებით მოკლეს. როცა ჯალათებმა მოსთხოვეს თანამზრახველების დასახელება, ყველა გარდაცვლილი ქართველი პოეტი დაასახელა და გაუნათლებელი შინსახკომელები თბილისის სასაფლაოებზე გააგზავნა.

ამ სხდომებზე საქართველოს ყველაზე დახვეწილი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია (საქართველოს მომავალი პრეზიდენტის მამა) იცავდა ტიციან ტაბიძეს შეურაცხყოფისაგან და უარს ამბობდა საუბარზე, სანამ შინსახკომის აგენტები არ გაჩუმდებოდნენ. მან სხდომას გადასცა ორჯონიკიძის სიტყვები, რომ არ შეიძლებოდა განსხვავებული აზრის მქონე მწერლების გაგზავნა ბანაკებში, რადგან ეს „ჰიტლერის მიმბაძველობა იქნებოდა". ის მიანიშნებდა, რომ არ არის აუცილებელი მოსკოვის ტერორის მიბაძვა – ქართველებმა არ უნდა გადასხლან კაკლის ხე ისე, როგორც რუსები სხლავენ ნაძვს. გამსახურდია, ბერიას მსგავსად, მეგრელი იყო, მაგრამ სრულიად განსხვავებული წარსული ჰქონდა. ის დამოუკიდებელი საქართველოს ატაშე იყო გერმანიაში[8] და იქიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც ბურჟუაზიული ნაციონალისტი, სოლოვეცკის კუნძულებზე გადაასახლეს. როცა გაათავისუფლეს, ქართულად თარგმნა დანტეს *ჯოჯოხეთი* და დაწერა აღმაშფოთებელი რომანი კოლექტივიზაციის შესახებ, *მთვარის მოტაცება*, რომელშიც პარტიული აქტივისტი, ბერიას რომ მოგვაგონებს, საკუთარ დედაზე ძალას იხმარს და მამას კლავს. ამის მიუხედავად, ბერიამ მას რევოლვერი აჩუქა წარწერით, და როცა გამსახურდია დაეპატიმრეს სახელმწიფო გამომცემლობის ტროცკისტ დირექტორთან, ლიდია გასვიანთან რომანის გამო, ბერიამ ის პირადად გაათავისუფლა და დასძინა, რომ ხალხის მტრებთან კავშირი ნებადართულია, თუ ის სქესობრივი ხასიათისაა. გამსახურდიასა და ბერიას ურთიერთობა ერთდროულად ეფუძნებოდა ურთიერთპატივისცემასა და ზიზღს. გამსახურდია ერთადერთი ცოცხალი ქართველი მწერალი იყო, ვის რომანებსაც სტალინი აფასებდა, თუმცა არეებზე კრიტიკულ მინაწერებს აკეთებდა.

საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროზაიკოსი, რომელიც გენიალობითა და პოპულარობით არ ჩამორჩებოდა გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილი, უკვე განწირული იყო. მაგრამ მან თავი დასაღუპად გაწირა, როცა ვაჟკაცურად შეაქო პაოლო იაშვილი გამბედავი თვითმკვლელობისთვის. 1937 წლის 26 ივლისს საქართველოს

8 გერმანიაში გამსახურდია გაიტაცა იდეებმა რასიული სიწმინდის, თეთრკანიანი კავკასიელი რასის უპირატესობისა და იდეალური ყოვლისშემძლე ბელადის შესახებ. მოგვიანებით ის როგორღაც უხამებდა ერთმანეთს შინსახკომისადმი და პარტიული მწერლობისადმი ზიზღს და ბერიასა და სტალინისადმი თაყვანისცემას.

მწერალთა კავშირმა დაადგინა: „მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი, გაირიცხოს მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს." ჯავახიშვილის ერთმა მამაცმა მეგობარმა, გერონტი ქიქოძემ, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო და დარბაზი დატოვა (ის რატომღაც არ დააპატიმრეს). ჯავახიშვილს ბერიას თანდასწრებით სცემდნენ, სანამ აღიარებას ხელი არ მოაწერა. ის 30 სექტემბერს დახვრიტეს. მისი საკუთრება დაიტაცეს, არქივი გაანადგურეს, ძმა დაუხვრიტეს, ქვრივი კი შემდეგი ორმოცდახუთი წლის მანძილზე შინ განდეგილად იქცა.

ბერიამ თითქმის ყველა თვალსაჩინო სომეხი, აფხაზი და ოსი მწერალი გაანადგურა, მაგრამ რუსებს ხელს ვერ ახლებდა, თუ უკვე დაპატიმრებულნი არ იყვნენ. 1937 წლის ბოლოსთვის ბერიამ ტერორი შეაჩერა და გადარჩენილი ინტელიგენტები ოპერის თეატრში შეკრიბა. მათ განუმარტა, რომ ყველა მსხვერპლი – ინჟინრები, რეჟისორები, პოეტები – გარეულნი იყვნენ ერთ დიდ შეთქმულებაში, რომლის მიზანიც იყო ტიფის ეპიდემიის გავრცელება, აჭარის მიყიდვა თურქეთისთვის და ლავრენტი ბერიას მოკვლა.

ინგლისურიდან თარმნა და
რუსულ რედაქციას შეადარა
ბელა წიფურიამ
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი